აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 34

01/10/2024 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ პარტიული სიის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-11 პუნქტის, „კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 21 აგვისტოს №3 დადგენილების და საარჩევნო სუბიექტის „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ თავმჯდომარის მიერ 2024 წლის 26 სექტემბერს წარმოდგენილი №88-101 2024 (უსკოში რეგისტრაციის №01-26/106) განცხადების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს საარჩევნო სუბიექტის **„ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“** პარტიული სია, გარდა ირმა ზოიძისა (პარტიულ სიაში №8).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე